# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

# ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# 2018 წლის 31 ოქტომბრის სხდომის

# ოქმი N27

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი **N 27**

ქ. ხონი **31** ოქტომბერი, **2018** წელი

2018 წლის 31 ოქტომბერს საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ვალერი ბახტაძე. სხდომას საკრებულოს 28 წევრიდან ესწრებოდა: კობა კუბლაშვილი, არსენ ბენდელიანი, ნანა ბახტაძე, ალიკო ვეკუა, ზაზა ვაშაკიძე, არჩილ საღარაძე, მაკა ტაბიძე, მათე ჩანქსელიანი, ოლეგი ვაჭარაძე, ტარიელ ბარაბაძე, ლია ღაჭავა, შორენა კაკაბაძე, თამაზი ცაგარეიშვილი, ნაზიბროლა გეგია.

სხდომა დაიწყო: **12** საათზე.

სხდომა დასრულდა: **12:30** საათზე.

დღის წესრიგი:

1. **ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.**
   მომხსენებელი: ნანა ბახტაძე - საკრებულოს კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე.
2. **ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს" ფრაქციის ახალი შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ.**
   მომხსენებელი: ალიკო ვეკუა - საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

საკრებულოს წევრების მიერ სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

**მომხრე __ 15**

**წინააღმდეგი___არცერთი**

**მიღებული განკარგულება ოქმს თან ერთვის.**

**დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი**: ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ. საკრებულოს წევრებს გააცნო და მოხსენებით წარსდგა საკრებულოს კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ნანა ბახტაძე. საკრებულოს წევრების მიერ პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა წარმოდგენილ პროექტს:** ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

მომხრე - **15**

წინააღმდეგი - 0

**მიღებული განკარგულება ოქმს თან ერთვის.**

**დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი**: ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს" ფრაქციის ახალი შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ. საკრებულოს წევრებს გააცნო და მოხსენებით წარსდგა ალიკო ვეკუა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე. საკრებულოს წევრების მიერ აღნიშნული საკითხი ცნობად იქნა მიღებული.

**მიღებული განკარგულება ოქმს თან ერთვის.**

დღის წესრიგით გათვლისწინებული საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ვალერი ბახტაძე

სხდომის მდივანი: მაია ბობოხიძე